ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 171

"25" ივნისი 2019 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის №102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-3 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეთანხმდეს „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 2 აპრილის №19.364.505 განკარგულებაში შეტანილი ცვლილება, აღნიშნული განკარგულების დანართით განსაზღვრული ხელშეკრულების პროექტის მე-5 მუხლში შემდეგი შინაარსის 5.8[1] და 5.9[1] პუნქტების დამატების მიზნით, „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 2 აპრილის №19.364.505 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 30 მაისის №19.609.792 განკარგულების შესაბამისად:

ა) „5.8[1]. სააგენტო აცხადებს, რომ დამატებით უზრუნველყოფს ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) დამოუკიდებელ აუდიტორულ შეფასებას";

ბ) „5.9[1]. თუ ხელშეკრულების 5.8[1] პუნქტით გათვალისწინებული განახლებული შეფასების მიხედვით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) ღირებულება განსხვავდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2019 წლის 12 თებერვლის №000705819 №000945119 ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრული საბაზრო ღირებულებისგან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მხრიდან შესაძლოა განხილული იქნეს სხვაობის კომპენსაციის საკითხი, ფულადი სახით ან დამატებით უძრავი ქონების გადაცემის გზით".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ტყემალაძე